



# **ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგი**

**თავი 5**

## თავი 5. წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლა

თავის შესრულების პროგრესი: 50.381% (აღნიშნული მაჩვენებელი ასახავს მხოლოდ სამოქმედო გეგმის თავის შესრულების პროგრესს. იგი არ გამოხატავს მიზნებისა და აქტივობების შესაბამისობას და რელევანტურობას)

### ძირითადი მიგნებები

ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის მეხუთე თავი ითვალისწინებს წამებისა და არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრისთვის აუცილებელი ეფექტიანი მექანიზმების შექმნასა და მათ გამართულ ფუნქციონირებას. საქმიანობები მოიცავს როგორც სისტემების, მექანიზმების გაძლიერებისკენ მიმართულ ღონისძიებებს, ასევე კონკრეტული უწყებებისა თუ შემსრულებელი პირების (მაგ. სამედიცინო სერვისის მიმწოდებლები) მუშაობის გაძლიერებას, ინფორმირებას და გადამზადებას.

2016-17 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის მსგავსად, 2018-20 წლების მეხუთე თავი ასევე არ მოიცავს მთელ რიგ მნიშვნელოვან მიზნებსა და ამოცანებს არასათანადო მოპყრობის აღმოფხვრის თვალსაზრისით. ამგვარად, საზოგადოებრივი მონიტორინგის მექანიზმის შექმნა, რომელსაც ითვალისწინებდა საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2014-2020 წლებისთვის) არც ძველ გეგმაშია გათვალისწინებული და არც ახალში; იგივე უნდა ითქვას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხზე, როგორცაა კრიმინალური სუბკულტურის შესუსტებისა და მისი უარყოფითი შედეგების აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებები.

ზოგიერთი საკვანძო საკითხი, მართალია, ფიგურირებს გეგმის მეხუთე თავში, თუმცა არასრულად: მიუხედავად იმისა, რომ 2016-17 წლების სამთავრობო გეგმის შესრულების ვადის ამოწურვისას კვლავ არ იყო შემუშავებული წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა, 2018-20 წლების გეგმაში მსხვერპლთა კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ამოცანა მხოლოდ იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილების გაფართოებისკენ მიმართულ საქმიანობას მოიცავს (ამოცანა 5.1.4).

გეგმის ხარვეზებს შორის ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამოცანის ინდიკატორები ზოგჯერ არასრულყოფილია და არ იძლევა ამოცანის ქვეშ მოქცეული საქმიანობების სათანადოდ და ობიექტურად შეფასების შესაძლებლობას. მაგალითად, საქმიანობის 5.2.1 ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესება ინდიკატორად წარმოდგენილია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი მკურნალობის სერვისები გაუმჯობესებულია. აღნიშნული ინდიკატორი ვერ უზრუნველყოფს ამოცანით განსაზღვრული საქმიანობის შეფასებას. ზოგადია ფრაზა მკურნალობის სერვისები და ბუნდოვანია კრიტერიუმები, რა იგულისხმება კონკრეტულად მკურნალობის სერვისების გაუმჯობესებაში, რა მიმართულებით და რითი ვზომავთ გაუმჯობესებას.

საანგარიშო პერიოდში, წამებასა და არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმებიდან აღსანიშნავია დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის ფუნქციების სახელმწიფო ინსპექტორის აპარატისთვის მინიჭება. თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ მთელი რიგი ფაქტორების გათვალისწინებით, მექანიზმის სრულყოფილი და ეფექტიანი ფუნქციონირება თავიდანვე ეჭვქვეშ დადგა.

ამ ეტაპზე არასათანადო მოპყრობის ახალი ფაქტების გამოძიების თვალსაზრისით კვლავ სერიოზული პრობლემებია. როგორც წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი აღნიშნავს 2018 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში, „დელეგაციის ყურადღება ასევე მიიპყრო იმ ფაქტმა, რომ სახალხო დამცველის ოფისისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან პროკურატურისთვის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის საქმეების თაობაზე რეგულარული შეტყობინებების მიუხედავად, გამოძიება ძალიან ცოტა მათგანზე წარიმართა

(განსაკუთრებით რაც შეეხება 2012 წლის ოქტომბრის შემდეგ განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის ფაქტებს) და პოლიციისა და ციხის თანამშრომლებს პრაქტიკულად არანაირი სანქცია არ დაკისრებიათ.<sup>11</sup> აღნიშნული ტენდენცია მოიცავს 2014 წლის 12 ნოემბრის გლდანის ციხის ინციდენტს, რომელიც დეტალურად არის აღწერილი 2014 წლის ვიზიტის ამსახველი ანგარიშის მე-17 და 51-ე პარაგრაფებში.”

არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის კუთხით მნიშვნელოვანი საკანონმდებლო სიახლეა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191<sup>1</sup> მუხლით მოსამართლისთვის მიცემული უფლებამოსილება, სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე, არასათანადო მოპყრობის ექვსი შემთხვევაში ან ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცხადების საფუძველზე, მიმართოს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს, ასევე, დაავალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შესაბამისი ზომების მიღება. ვიმედოვნებთ, მომავალში ყველა მოსამართლე აქტიურად გამოიყენებს აღნიშნულ უფლებამოსილებას, რაც არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება.

2016 წელს, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამის „ადამიანის უფლებები ციხეებსა და დახურული ტიპის სხვა დაწესებულებებში“ ფარგლებში მოწვეული ექსპერტის დახმარებით, შემუშავდა სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების ფორმები როგორც დროებითი მოთავსების იზოლატორების, ისე პენიტენციური დაწესებულებებისთვის, რომლებიც დამტკიცდა, შესაბამისად, შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანებით და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით. აღნიშნულის კვალდაკვალ, როგორც ერთი, ისე მეორე უწყების სამედიცინო პერსონალმა არაერთი ტრენინგი და გადამზადება გაიარა დაზიანებების აღწერის ფორმების გამოყენებაში, თუმცა პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ მითითებული სერიოზული ხარვეზები ცხადყოფს, რომ არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო დოკუმენტირება და მათი ანგარიშგება ჯერ კიდევ სერიოზულ გამოწვევად რჩება. პენიტენციურ სისტემაში აღნიშნული პრობლემა შესაძლოა გაამწვავოს იმ გარემოებამ, რომ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, 2020 წლის გაზაფხულზე, რეორგანიზაციის შედეგად, პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო პერსონალის ნაწილი სამსახურიდან იქნა დათხოვილი.

საანგარიშო პერიოდში არ განხორციელებულა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული რიგი საქმიანობები, რომლებზეც საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო იყო პასუხისმგებელი:

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი პაციენტების მკურნალობის სერვისების გაუმჯობესების კუთხით ბუნდოვანია, რა სტრატეგია აქვს სამინისტროს ან რა აქტივობები განხორციელდა აღნიშნულის მისაღწევად.

საანგარიშგებო პერიოდში ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტებისთვის ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესსა და პროცედურებს.

თუმცა გასათვალისწინებელია, რომ გეგმაში აღნიშნული საქმიანობების შესრულების ვადად 2020 წელია მითითებული.

<sup>[1]</sup> როგორც დელეგაციას სახალხო დამცველის ოფისში განუცხადეს, 2015 წლის შემდგომ პერიოდში პროკურატურას სავარაუდო არასათანადო მოპყრობის 38 საქმე გადაეგზავნა (ზოგიერთი მათგანი რამდენიმე პირს შეეხებოდა), რომლებსაც, სახალხო დამცველის ოფისის თქმით, მყარი სამედიცინო მტკიცებულებები ახლდა თან, თუმცა ამ საქმეების გამოძიებას შედეგი არ მოუტანია (ხშირ შემთხვევაში აღნიშნულის მიზეზად პროკურატურა ასახელებს იმ გარემოებას, რომ ვერ მოხერხდა დამნაშავე პოლიციელის/ციხის თანამშრომლ(ებ)ის იდენტიფიცირება).

## **მიზანი 5.1. ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უზრუნველსაყოფად ძალისხმევის გაძლიერება**

მიზნის შესრულების პროგრესი: 58.7143%

საანგარიშო პერიოდში არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის თვალსაზრისით რიგი ღონისძიებები განხორციელდა - გაიზარდა მოსამართლეების უფლებამოსილება არასათანადო მოპყრობის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევებში, დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მანდატით მუშაობას შეუდგა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, გრძელდება არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირების კუთხით დახურული დაწესებულებების მედპერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებები. აღსანიშნავია, ასევე, საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდგომ, 2020 წლის ივლისში „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილება, რომლითაც შეიქმნა ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმი.

ახლადშექმნილი მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის შეფასება ამ ეტაპზე ნაადრევად მიგვაჩნია, თუმცა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მიმართ გამოთქმული სერიოზული შენიშვნებისა და მოსამართლეებისთვის მინიჭებული ახალი უფლებამოსილების გამოყენების თვალსაზრისით არსებული პრობლემების გათვალისწინებით, მომავალში მეტი ძალისხმევა იქნება საჭირო აღნიშნული მექანიზმების სრულყოფილი და ეფექტიანი ფუნქციონირებისთვის.

არასათანადო მოპყრობის ფაქტების სათანადო დოკუმენტირება კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს; ტრენინგებისა და გადამზადების მიუხედავად, დახურული დაწესებულებების ექიმები მაინც არასრულყოფილად ასრულებენ მათზე დაკისრებულ ამ ვალდებულებას. პენიტენციური სისტემის შემთხვევაში კვლავ დასახვეწია მედპერსონალის მიერ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის გამოვლენილი ფაქტების ანგარიშგების სისტემა.

მისასაღმებელია შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალისხმევა სტატისტიკის წარმოებისა და მისი საზოგადოებისთვის პროაქტიული მიწოდების თვალსაზრისით, თუმცა არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების გამჭვირვალობა და სანდოობა უფრო დეტალური და მრავლისმომცველი სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებას მოითხოვს, რისთვისაც მხოლოდ ერთი უწყების ძალისხმევა არასაკმარისია.

### **ამოცანა 5.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ**

# ბრძოლის სამართლებრივი, პროცედურული და ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 65%

## ინდიკატორი:

გაანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

შესაბამის უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურა;

შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში;

შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი

## შეფასება:

არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი და პროცედურული მექანიზმების გაძლიერების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სიახლეა მოსამართლის როლის გაზრდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების გამოვლენის მიმართულებით. ვიმედოვნებთ, მომავალში ეს მექანიზმი პრაქტიკაში კიდევ უფრო რეგულარულად იქნება გამოყენებული.

რაც შეეხება ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის სისტემას, საანგარიშო პერიოდში ეს მექანიზმი არ ფუნქციონირებდა. 2020 წლის 23 ივნისს განხორციელებული ცვლილებებით „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონს დაემატა VII<sup>1</sup> თავი ([ფსიქიატრიული დახმარების სფეროში პაციენტთა/მომსახურების მიმღებთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასების უზრუნველყოფის ღონისძიებები](#)), რომელიც მოიცავს ფსიქიატრიულ დაწესებულებებსა და ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურებებში (სერვისებში) პაციენტთა უფლებების დაცვისა და მომსახურების ხარისხის შეფასებას მონიტორინგის საშუალებით.

ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომსახურების ხარისხის სტანდარტი და შესაბამისი როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისობრივი შეფასების ინდიკატორები. მხოლოდ აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში იქნება ეფექტური დაგეგმილი მონიტორინგისა და შეფასების განხორციელება, რომელიც უშუალოდ მოახდენს სერვისის ხარისხის უზრუნველყოფას.

**აქტივობა 5.1.1.1. არასათანადო მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი ბაზის ანალიზი და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება, მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში არასათანადო მოპყრობის**

# შესახებ განცხადებებისა და არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის შემთხვევაში მოსამართლეებისა და პროკურორების როლის გაზრდის მიზნით.

## პასუხისმგებელი უწყება:

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

აანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

შესაბამის უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურა;

შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში;

შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი

**სტატუსი:** ნახევარზე მეტი შესრულებულია **აქტივობის შესრულების პროგრესი: 80%**

**დაწყების თარიღი:** 2018-01-01

**ბოლო ვადა:** 2018-12-31

## შეფასება

2018 წლის 21 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, რომლითაც გაფართოვდა მოსამართლეთა უფლებამოსილებები წამების, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობის სავარაუდო ფაქტებზე რეაგირების თვალსაზრისით. კერძოდ, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 191<sup>1</sup> მუხლი, რომლის თანახმად, თუ სისხლის სამართლის პროცესის ნებისმიერ სტადიაზე მოსამართლეს გაუჩნდა ეჭვი, რომ ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ განხორციელდა წამება, დამამცირებელი ან/და არაადამიანური მოპყრობა, ან თუ ამის შესახებ თავად ბრალდებულმა/მსჯავრდებულმა განუცხადა სასამართლოს, მოსამართლე რეაგირებისათვის მიმართავს შესაბამის საგამოძიებო ორგანოს და მეტიც, უფლებამოსილია, განჩინებით დაავალოს სპეციალური პენიტენციური სამსახურის გენერალურ დირექტორს ასეთი ბრალდებულის/მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება. აღნიშნული ცვლილება ამოქმედდა 2019 წლის 1-ლი ივლისიდან.

სახალხო დამცველის 2019 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2019 წელს საქართველოს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეებმა საგამოძიებო ორგანოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191<sup>1</sup> მუხლის გამოყენების საფუძვლით 25 შემთხვევაში მიმართეს (როგორც არსებითი განხილვის, ისე სასამართლოში პირველი წარდგენის დროს).“<sup>iii</sup>

იმავე ანგარიშში საუბარია მოსამართლეთა მხრიდან აღნიშნული უფლებამოსილების სათანადო გამოყენების პრობლემებზე: „სისხლის სამართლის სპეციალიზაციის ადვოკატების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, არის შემთხვევები, როცა მოსამართლე



სათანადოდ არ მსჯელობს პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე.<sup>[2]</sup> ზოგიერთმა გამოკითხულმა ბრალდებულმა სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს განუცხადა, რომ მათ აღენიშნებოდათ ხილული მრავლობითი დაზიანებები (მათ შორის, სახის არეში) და მოსამართლეს ამ საკითხზე ყურადღება არ გაუმახვილებია.”<sup>[3]</sup>

<sup>[1]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 2020 წელი, გვ. 96

<sup>[2]</sup> გამოკითხული ადვოკატების 45.2% აღნიშნავს, რომ მოსამართლემ სათანადოდ არ იმსჯელა პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე. მაგალითისათვის, აჭარის რეგიონიდან 2 ადვოკატის მითითებით, იმ შემთხვევაშიც, როცა აშკარაა პირის მიმართ სავარაუდოდ ძალადობის განხორციელების შემთხვევა, სასამართლო საგამოძიებო ორგანოს არ მიუთითებს დაიწყოს გამოძიება არასათანადო მოპყრობაზე.

<sup>[3]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 2020 წელი, გვ. 95-96

## აქტივობა 5.1.1.2. შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ფსიქიატრიული დაწესებულებების შიდა მონიტორინგის მექანიზმის შემუშავება

### პასუხისმგებელი უწყება:

- შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

### ინდიკატორი:

აანალიზებული და, საჭიროების შემთხვევაში, გაუმჯობესებულია შესაბამისი საკანონმდებლო, კანონქვემდებარე აქტები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად;

შესაბამის უწყებების ინსტიტუციონალური სტრუქტურა;

შესაბამისი ცვლილებები მომზადებულია ნორმატიულ აქტებში;

შემუშავებულია ახალი საკანონმდებლო აქტი

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2019-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ ხორციელდება რეგულარული, სისტემური და პროაქტიული მონიტორინგი სსიპ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ.<sup>[1]</sup> ამგვარი მექანიზმის შექმნისა და დანერგვის რეკომენდაციას სახალხო დამცველიც იძლევა.<sup>[2]</sup> აღნიშნული რეკომენდაცია გაზიარებული და ასახულია საქართველოს პარლამენტის დადგენილებაშიც.<sup>[3]</sup>

როგორც საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშშია აღნიშნული, ჯანდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ მის სისტემაში შემავალი აუდიტის დეპარტამენტი არ არის უფლებამოსილი, შეამოწმოს კერძო მენეჯმენტის მქონე ფსიქიატრიული დაწესებულებები.<sup>[4]</sup> ამავე ანგარიშში მითითებულია, რომ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი 11 ფსიქიატრიული დაწესებულებიდან 6 დაწესებულებაში სახელმწიფო 100%-იან წილს ფლობს, თუმცა ინფორმაცია არც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებულ დაწესებულებებში ჩატარებული მონიტორინგის თაობაზეა ხელმისაწვდომი.<sup>[5]</sup>

ადამიანის უფლებათა სამდივნოს ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ 12 სტაციონარული ფსიქიკური ჯანმთელობის დაწესებულება იქნა შეფასებული ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სახელმძღვანელო დოკუმენტით (WHO QualityRights tool kit).<sup>[6]</sup> შეფასების შედეგების ამსახველი დოკუმენტი არ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისად, რთულია, განისაზღვროს შედეგები და კონტროლის მექანიზმები. აღნიშნულის გათვალისწინებით, საქმიანობა ვერ ჩაითვლება შესრულებულად.

---

<sup>[1]</sup> საქართველოს მთავრობის №674 დადგენილების მე-17 და მე-18 მუხლების თანახმად სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო ახორციელებს ფსიქიატრიული დაწესებულებების კონტროლსა და რევიზიას, რომელიც ხორციელდება გეგმური და არაგეგმური შემოწმების გზით. 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ 31 დეკემბერი 2019 წ

<sup>[2]</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-64/6 სსიპ სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტო დებულების დამტკიცების შესახებ მე-2 მუხლის მე3 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები 28 დეკემბერი 2011 წ - თავისი კომპეტენციის ფარგლებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ახორციელებს სახელმწიფო კონტროლს საექიმო საქმიანობის, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის წამლისა და ფარმაცევტული საქმიანობის სფეროში. მათ შორისაა სააგენტოს, როგორც ნებართვის და ლიცენზიების გამცემისათვის მინიჭებული უფლებამოსილებების განხორციელება. პაციენტთათვის გაწეული სამედიცინო დახმარების ხარისხის კონტროლი და ექიმთა პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის დასმა კომპეტენტური ორგანოს – პროფესიული განვითარების საბჭოს წინაშე. ასევე იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ სალიცენზიო, სანებართვო, შეტყობინებას დაქვემდებარებული სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის, ტექნიკური რეგლამენტით განსაზღვრული პირობების დაცვის მდგომარეობის შესწავლა და კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომების/ღონისძიებების გატარება.

<sup>[3]</sup> საქართველოს პარლამენტის დადგენილება “2016 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა მდგომარეობის შესახებ” საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშის თაობაზე“, 30 ივნისი 2017 წ., პუნქტი 7 „ჰ“

<sup>[4]</sup> პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, საქართველოს სახალხო



დამცველი, <http://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/preventsiiis-erovnuli-mekanizmis-2019-tslis-angarishi> გვ 124

<sup>[5]</sup> პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში, საქართველოს სახალხო დამცველი, <http://ombudsman.ge/geo/spetsialuri-angarishebi/preventsiiis-erovnuli-mekanizmis-2019-tslis-angarishi> გვ 122

<sup>[6]</sup> WHO Quality Rights Tool Kit, Assessing and improving quality and human rights in mental health and social care facilities, 2012 available [https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/70927/9789241548410\\_eng.pdf;jsessionid=4C78346A6E57B0EA9443C61F9F86F80F?sequence=3](https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/70927/9789241548410_eng.pdf;jsessionid=4C78346A6E57B0EA9443C61F9F86F80F?sequence=3) \*\*\*\*\*

## ამოცანა 5.1.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დოკუმენტირება სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად

ამოცანის შესრულების პროგრესი: 55%

ინდიკატორი: წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებული ანგარიშები

შეფასება:

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) 23-ე ზოგადი ანგარიშის თანახმად, სამედიცინო პერსონალს უნდა ჰქონდეს ვალდებულება, პაციენტის სურვილის გათვალისწინებლად (თუმცა მისი ინფორმირების შემდგომ) ყველა დაზიანების თაობაზე, რომლებიც აშკარად არასათანადო მოპყრობის მაჩვენებელია, ავტომატურად მიაწოდოს ინფორმაცია დამოუკიდებელ საგამოძიებო ორგანოს, თუნდაც იერარქიული ხაზის მეშვეობით.<sup>[1]</sup>

კომიტეტი ასევე დეტალურად მიუთითებს, რა სახის ინფორმაციას უნდა შეიცავდეს ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმების შედეგად შედგენილი დოკუმენტი.<sup>[2]</sup>

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 26 ოქტომბრის N131 ბრძანებით „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციურ დაწესებულებებში შესაძლო წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შედეგად ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა დაზიანების აღრიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცდა დაზიანებების სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დოკუმენტირების ფორმა, რომელიც შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

იგივე შეიძლება ითქვას შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის N691 ბრძანების „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სამედიცინო მომსახურების ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ შესახებ, რომელიც ასევე სტამბოლის პროტოკოლის მოთხოვნების გათვალისწინებით მომზადდა. სამწუხაროდ, პრაქტიკაში გამოვლენილი ხარვეზები ცხადყოფს, რომ პრაქტიკაში, არცერთი უწყება ზემოაღნიშნულ ფორმებს სათანადოდ ვერ იყენებს. პენიტენციურ სისტემაში ასევე გადახედვას საჭიროებს არასათანადო მოპყრობაზე მოპოვებული ინფორმაციის თაობაზე შესაბამისი ორგანოებისთვის შეტყობინების გაგზავნის

საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ამოცანა 5.1.2 შესრულებულად ვერ მიიჩნევა.

<sup>[1]</sup> 23d General Report of the CPT, 1 August 2012 - 31 July 2013, par. 77-78, ხელმისაწვდომია: <https://rm.coe.int/1680696a9b>

<sup>[2]</sup> CPT-ის 2014 წლის ანგარიში, პარ.29  
<https://rm.coe.int/CoERMPublicCommonSearchServices/DisplayDCTMContent?documentId=09000016806961f8>

## აქტივობა 5.1.2.1. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება

### პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

### ინდიკატორი:

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებულია კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებულია ანგარიშები

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

დაწყების თარიღი: 2020-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით: „2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 20 ექიმს ჩატარდა ტრენინგი დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებული პირის სხეულზე არსებული დაზიანებების სათანადო დოკუმენტირების მიმართულებით. ასევე, ამავე წელს, ევროპის საბჭოსთან თანამშრომლობით, დაიწყო ახალი პროექტი, რომლის ფარგლებშიც სამედიცინო პერსონალს ორ ეტაპად ჩატარდა ტრენინგთა ტრენინგი, რათა შექმნილიყო ტრენინგთა ბაზა, მომავალში დასასაქმებელი და მოქმედი ექიმების გადამზადების მიზნით. აღნიშნული ღონისძიებების შედეგად შეირჩა 9 ექიმი, რომლებმაც გადამზადების პროცესი დაასრულეს 2020 წლის დასაწყისში.“<sup>[1]</sup>

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის

თანახმად კი „2019 წელს, ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში ჩატარდა ორი ტრენინგი, რომელიც მოიცავდა დაკავებულის სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგადაღების საკითხებს. აღნიშნული ტრენინგების ფარგლებში გადამზადდა 30 ექიმი. 2020 წლის განმავლობაში, გადამზადებული ტრენერების მიერ, ექიმებს ეტაპობრივად ჩაუტარდებათ ტრენინგები ფოტოგადაღებისა და ფოტომასალის შენახვის წესის თაობაზე, დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად. ევროპის საბჭოს პროექტის ფარგლებში, 2020 წელს, იზოლატორებში დასაქმებულ ყველა ექიმს ჩაუტარდება ტრენინგები ჯანდაცვის მენეჯმენტის და დანაშაულის შესაძლო მსხვერპლთან კომუნიკაციის საკითხებზე.“<sup>[6]</sup>

ევროპის საბჭოს წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) 2018 წლის ვიზიტის ამსახველ ანგარიშში დადებითად აფასებს ტრენინგების მნიშვნელობას, რომლებიც დროებითი მოთავსების იზოლატორის ექიმებმა გაიარეს სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დაზიანებების დოკუმენტირებაში და ამ მხრივ განსაკუთრებით გამოყოფს თბილისისა და რუსთავის დმი-ების სამედიცინო პერსონალის მიერ გაკეთებული ჩანაწერების მაღალ ხარისხს.“<sup>[7]</sup>

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საქართველოს სახალხო დამცველის 2018 და 2019 წლების საპარლამენტო ანგარიშებში კვლავ საუბარია არასათანადო მოპყრობის ფაქტების სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად დოკუმენტირების მხრივ არსებულ მთელ რიგ მწვავე პრობლემებზე.

სახალხო დამცველი 2018 წლის ანგარიშში აცხადებს, რომ წინა წლების მსგავსად, კვლავ პრობლემად რჩება დაზიანებების ფოტოგრაფირების, ასევე, ექიმის მიერ დაკავებულის სხეულზე არსებულ დაზიანებებსა და დაკავებული პირის გადმოცემით, დაზიანებების მიყენების მეთოდებს შორის კავშირის დადგენის პრაქტიკა.“<sup>[8]</sup>

იმავე ანგარიშის თანახმად, „ასევე, წინა წლების მსგავსად, კვლავ ხარვეზებით მიმდინარეობს იზოლატორში დასაქმებული ექიმების მიერ დაკავებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების დოკუმენტირება. კერძოდ, ჩატარებული სამედიცინო შემოწმების საფუძველზე შევსებულ ფორმაში (დამტკიცებული შინაგან საქმეთა მინისტრის 2016 წლის 8 დეკემბრის №691 ბრძანებით, „სტამბოლის პროტოკოლის“ თანახმად), მიუხედავად სხეულზე არსებული დაზიანებებისა, რიგ შემთხვევებში არ ხდება შესაძლო ძალადობის შეფასება - ცარიელია შესაბამისი გრაფები; არის შემთხვევებიც, როდესაც დაზიანებების მიყენების მეთოდების შესახებ ჩანაწერის არარსებობის პირობებში, ექიმი მაინც მიუთითებს შესაბამისობაზე დაზიანებასა და მისი მიყენების მეთოდს შორის და ა.შ.“<sup>[9]</sup>

ანალოგიურ პრობლემებზე საუბრობს სახალხო დამცველი 2019 წლის ანგარიშშიც:

„დამუშავებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაზიანებების მიღების გარემოებები (ვითარება და მეთოდი) არასრულყოფილად ან საერთოდ არ აღიწერება.“<sup>[10]</sup> საყურადღებოა ის გარემოება, რომ ექიმი ადგენს შესაბამისობას არსებულ დაზიანებასა და მისი მიღების გარემოებებს შორის, მაშინ როდესაც დაზიანების მიღების გარემოებები არასრულყოფილად ან საერთოდ არ აქვს აღწერილი“<sup>[11]</sup>

„სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ დამუშავებული სტამბოლის პროტოკოლის მიხედვით დოკუმენტირებული 351 შემთხვევიდან, ფოტო გადაღებულია 56 შემთხვევაში. სპეციალური პრევენციული ჯგუფი გაეცნო 40 ფოტოს, რომელთაგან 36 შემთხვევაში ფოტოების ხარისხი არაადამაკმაყოფილებელი იყო. ამასთან, აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ ნანახ იზოლატორებში სტამბოლის პროტოკოლის შესაბამისად გადაღებული ფოტოების შენახვის ერთიანი წესი არ ჰქონიათ.“<sup>[12]</sup>

სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების კუთხით გატარებული ღონისძიებების თაობაზე ინფორმაცია ხელმეორე ნაწილშია.

აღნიშნულის თაობაზე არაფერია მითითებული ადამიანის უფლებათა სამდივნოს 2019 წლის ანგარიშშიც. თუმცა სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ პენიტენციური დაწესებულებების ექიმების მიერ დაზიანებების დოკუმენტირების თვალსაზრისით გამოვლენილი ხარვეზები ცხადყოფს, რომ უწყებს დიდი ძალისხმევა აქვს გასაწევი აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად. ექიმების დაბალი კვალიფიკაციისა და პატიმრებთან კონფიდენციურ გარემოში შეხვედრის პირობების არარსებობის გარდა, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ანგარიშში გამოკვეთილია არაერთი გარემოება, რომელიც გართულებულია ბიუროკრატიული შიდა სტრუქტურული მექანიზმების საფუძველზე. მაგალითად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის №131 ბრძანების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, ექიმი წამების და არასათანადო მოპყრობის ეჭვის შემთხვევაში, შეტყობინებას იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს უგზავნის, რაც ნაკლები ობიექტურობის შესაძლებლობას იძლევა იმ შემთხვევაში თუ წამების ან არასათანადო მოპყრობის ჩამდენი სუბიექტი შინაგან საქმეთა სამინისტროს, პენიტენციური დაწესებულების, ესკორტირების ჯგუფის წევრი ან სხვა საგამოძიებო ორგანოს თანამშრომელია.

სახალხო დამცველის მიერ 2019 წელს პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებულმა შემოწმებამ გამოავლინა, რომ ნახევრად ღია ტიპის პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა სხეულზე საეჭვო დაზიანებების აღმოჩენის შემთხვევაში, ექიმები არ ახდენენ მის დოკუმენტირებას №131 ბრძანებით დამტკიცებული დაზიანების აღრიცხვის წესის შესაბამისად. 2019 წლის 11 თვის მონაცემებით, პატიმრისთვის სხვა პირის მიერ სხეულის დაზიანების მიყენების 316 ფაქტია გამოვლენილი. ყველა ამ შემთხვევაში სახეზეა პატიმრის მიმართ სავარაუდო ძალადობრივი ქმედების ჩადენის ნიშნები. მიუხედავად ამისა, №131 ბრძანებით დამტკიცებული დაზიანების აღრიცხვის ფორმა არცერთ შემთხვევაში არ არის შევსებული.<sup>[10]</sup>

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასათანადო მოპყრობის შემთხვევების დოკუმენტირების მიმართულებით ჩატარებული საქმიანობა ორივე უწყების შემთხვევაში არასრულია და ვერ ჩაითვლება შესრულებულად რადგან გადამზადებულ ექიმთა რაოდენობა და მათი პრაქტიკული საქმიანობის შეფასების არარსებობა არ გვაძლევს საფუძვლიან მტკიცებულებას, რომ დავადგინოთ სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთა გაუმჯობესებული კვალიფიკაცია და მათ მიერ წარმებული გამართული დოკუმენტირების უზრუნველყოფა.

---

<sup>[1]</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019 წ. გვ. 71

<sup>[2]</sup> 2020 წლის 01 მაისის MIA 6 20 00965423 წერილი

<sup>[3]</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში საქართველოს მთავრობას საქართველოში 2018 წლის 10-21 სექტემბრის ვიზიტის შესახებ, სტრასბურგი, 10 მაისი 2019 წელი, პარ. 24

<sup>[4]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2018 წელი, 2019 წელი, გვ. 76

<sup>[5]</sup> Ibid., გვ. 77

<sup>[6]</sup> 351 შემთხვევიდან 275 (78%) შემთხვევაში. მხოლოდ 76 შემთხვევაში იყო სრულყოფილად აღწერილი გარემოებები.

<sup>[7]</sup> 275 შემთხვევიდან, დაზიანებების მიღების გარემოებები სრულყოფილად ან საერთოდ არ არის აღწერილი 177 შემთხვევაში, მაგრამ ექიმს დადგენილი ჰქონდა შესაბამისობა. 6 შემთხვევაში, გარემოებები სრულყოფილად იყო აღწერილი, მაგრამ ექიმს შესაბამისობა დადგენილი არ ჰქონდა.

<sup>[8]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, 2020 წელი, გვ.89

<sup>[9]</sup> Ibid., გვ. 90 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019 წელი, გვ.90

<sup>[10]</sup> საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019, სახალხო დამცველის ანგარიში. <http://www.ombudsman.ge/res/docs/2020040215365449134.pdf> გვ61,62

## აქტივობა 5.1.2.2. წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების სუპერვიზია და შიდა მონიტორინგის მექანიზმის შექმნა

### პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფორმების შესახებ სამედიცინო პერსონალისთვის ჩატარებული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები სუპერვიზიის საფუძველზე შემუშავებული ანგარიშები

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2020-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „სამედიცინო შემოწმების კუთხით არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და ერთიანი სტანდარტების დანერგვის მიზნით, 2019 წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტის მიერ შემუშავდა სამედიცინო შემოწმების ჩატარების დეტალური ინსტრუქციის პროექტი. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს სახელმძღვანელოს იზოლატორებში დასაქმებული ექიმებისთვის, რათა მათ მაქსიმალური სიზუსტით უზრუნველყონ დაკავებული პირისგან სრული ინფორმაციის მიღება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის და არსებული ჩივილების შესახებ, სხეულზე არსებული დაზიანებების დეტალური დოკუმენტირება სტამბოლის ოქმის შესაბამისად, დაკავებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო ძალადობის ფაქტის გამოვლენა და საჭიროების შემთხვევაში, სავარაუდო ფაქტის შესახებ საქართველოს სახელმწიფო ინსპექტორის



სამსახურისთვის შეტყობინების გაგზავნა.<sup>[1]</sup> ინსტრუქციების დოკუმენტი ჯერ დამტკიცებული არ არის და არც საჯაროდ არის ხელმისაწვდომი.

როგორც საქმიანობა 5.1.2.1-ის შეფასებაშია აღნიშნული, სასჯელაღსრულების მინისტრის N131 ბრძანების თანახმად, ექიმმა არასათანადო მოპყრობის შესახებ ინფორმაცია სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს უნდა გადაუგზავნოს, თუმცა ხელმიუწვდომელია ინფორმაცია, ერთი მხრივ, საანგარიშო პერიოდში რამდენ ამგვარ საქმეზე გადაეცა შეტყობინება საგამოძიებო დეპარტამენტს, ხოლო მეორე მხრივ, რა რეაგირება მოყვა აღნიშნულ შეტყობინებებს, კერძოდ, რამდენ მსგავს შემთხვევაზე იქნა ინფორმირებული საგამოძიებო ორგანო.

ამგვარად, საანგარიშო პერიოდში არ შესრულებულა წამების პრევენციის ევროპული კომიტეტისა (CPT) და სახალხო დამცველის რეკომენდაცია, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით ექიმის ვალდებულებების განსაზღვრის შესახებ, შეავსოს დაზიანების ფორმა, მოახდინოს ფოტოგადაღება და დამოუკიდებელი საგამოძიებო ორგანოებისთვის გადაგზავნა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ექიმს წარმოეშვება ეჭვი პაციენტის მიმართ ჩადენილი შესაძლო წამებისა და არასათანადო მოპყრობის შესახებ, განურჩევლად იმისა, მიიღო თუ არა ექიმმა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა.<sup>[2]</sup>

<sup>[1]</sup> 2020 წლის 01 მაისის MIA 6 20 00965423 წერილი

<sup>[2]</sup> საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, 2019, სახალხო დამცველის ანგარიში, გვ. 56, 60

### **ამოცანა 5.1.3. გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ხარისხის გაზრდის ხელშეწყობა**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 55%

ინდიკატორი: გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან

**აქტივობა 5.1.3.1. სასჯელაღსრულების სისტემაში, პოლიციის დაწესებულებებსა და სხვა დახურულ დაწესებულებებში წამებასა და სხვა სასტიკ მოპყრობასთან დაკავშირებით წაყენებული ბრალდებების გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით საკანონმდებლო ჩარჩოს შემუშავება**

#### **პასუხისმგებელი უწყება:**

- საქართველოს იუსტიციის სამინისტრო



## ინდიკატორი:

გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან

სტატუსი: ნახევარზე მეტი შესრულებულია აქტივობის შესრულების პროგრესი: 60%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

## შეფასება

2019 წლის 01 ნოემრიდან, ამოქმედდა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური. სამსახური შეიქმნა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის სამსახურის ბაზაზე და მასში ინტეგრირდა საგამოძიებო ფუნქცია. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს დღეს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის, მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის და ძალადობით ან დაზარალებულის პირადი ღირსების შეურაცხყოფით ჩადენილი სამოხელეო დანაშაულის მიუკერძოებელი და ეფექტიანი გამოძიება ევალება.

2012 წლის არჩევნების შემდეგ პრიორიტეტად გამოცხადდა დამოუკიდებელი მექანიზმის შექმნა, რომელიც გამოიძიებს საჯარო მოხელეების მხრიდან არასათანადო მოპყრობას. ასეთი მექანიზმის არსებობის აუცილებლობას არაერთხელ გაუსვეს ხაზი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ექსპერტებმა.<sup>[1]</sup> 2015 წელს, ღია საზოგადოების ფონდისა და საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისის ძალისხმევით, მომზადდა დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის შესახებ კანონპროექტი, რომლის უფლებამოსილებები მოიცავდა არა მხოლოდ საჯარო მოხელეების მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიებას, არამედ, ასევე, სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოებასაც. პროექტი მომზადდა სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით და სრული მხარდაჭერით. პროექტს ასევე მიესალმა მთავრობაც. მიუხედავად ამისა, დამოუკიდებელ საგამოძიებო მექანიზმზე მუშაობა კიდევ სამი წლით შეჩერდა. საბოლოოდ, 2018 წელს, საქართველოს მთავრობის ინიციატივით, პარლამენტმა მიიღო სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერილისგან ძირეულად განსხვავებული მოდელი. დამოუკიდებელი საგამოძიებო მექანიზმის მანდატი პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის სამსახურს მიენიჭა, რომელსაც სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური დაერქვა.<sup>[2]</sup>

აღნიშნული სიახლე როგორც სახალხო დამცველის,<sup>[3]</sup> ისე კოალიციის დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისათვის სერიოზული კრიტიკის საგანი გახდა. კოალიციამ ძირითადი ყურადღება შემდეგ საკითხებზე გაამახვილა:

- გაუგებარია რა რაციონალურმა მოსაზრებებმა განაპირობა სახელმწიფო ინსპექტორის მანდატის ქვეშ ორი სრულიად განსხვავებული, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანი ფუნქციების - ერთი მხრივ, პირადი მონაცემების დაცვისა და მეორე მხრივ, არასათანადო მოპყრობის საქმეების გამოძიების გაერთიანება.
- „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი გამორიცხავს ინსპექტორის იურისდიქციას მთავარი პროკურორის, შინაგან საქმეთა მინისტრისა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. კოალიციამ დაუსაბუთებლად მიიჩნია ინსპექტორის მანდატიდან იმ თანამდებობის პირების გამორიცხვა, რომლებიც სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების განსაკუთრებით მაღალ რისკს წარმოადგენენ.
- პრობლემურია აგრეთვე სისხლის სამართლის კოდექსის სტატიების ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებზეც ინსპექტორის უფლებამოსილება ვრცელდება - ამრიგად,

ინსპექტორის მიერ მისი საგამოძიებო ფუნქციების განხორციელება დამოკიდებული იქნება ფაქტების კვალიფიკაციაზე, რაც არასათანადო მოპყრობის შემთხვევებში ყოველთვის პრობლემური იყო.<sup>[4]</sup>

- სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არ შესულა შესაბამისი ცვლილებები ახალი საგამოძიებო მექანიზმის მანდატის გათვალისწინებით. ამგვარად, პროკურატურისთვის გამოძიებაზე მეთვალყურეობის ფუნქციისა და მისი მხრიდან სავალდებულო მითითებების შენარჩუნება საფრთხეს უქმნის ინსპექტორის მანდატის ეფექტურობას. დღევანდელი რედაქციით, მთავარ პროკურორს შენარჩუნებული აქვს გამოძიების ქვემდებარეობის მიუხედავად, საქმის გამოძიების ერთი ორგანოდან ამოღებისა და სხვა ორგანოსთვის გადაცემის კომპეტენცია. ეს უფლებამოსილება კვლავ ტოვებს საფრთხეს, რომ საქმე გამოსაძიებლად იმ ორგანოს დაექვემდებაროს, რომლის თანამშრომელმაც სავარაუდო დანაშაული ჩაიდინა.

სახალხო დამცველის გარდა, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის იმავე პრობლემებზე მიუთითებს წამების პრევენციის ევროპული კომიტეტიც.<sup>[5]</sup> დღეის მდგომარეობით კოალიციის არცერთი რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ კანონის ის დისპოზიციები, რომლებიც მის საგამოძიებო ფუნქციებს შეეხება, ძალაში მხოლოდ 2019 წლის 1 ნოემბერს შევიდა.<sup>[6]</sup>

---

<sup>[1]</sup> – „საქართველო გარდამავალ პერიოდში“, ანგარიში ადამიანის უფლებათა სფეროში: განვლილი პერიოდი, გადადგმული ნაბიჯები და არსებული გამოწვევები, თომას ჰამარბერგი, ევროკავშირის სპეციალური მრჩეველი საქართველოში საკონსტიტუციო და სამართლებრივი რეფორმების საკითხებსა და ადამიანის უფლებებში, 2013 წლის სექტემბერი, გვ. 14, ხელმისაწვდომია: [http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8987288\\_38635\\_607369\\_Hammarbergreport-getm.pdf](http://myrights.gov.ge/uploads/files/docs/8987288_38635_607369_Hammarbergreport-getm.pdf)

ტიმ მერდოკი; „არასათანადო მოპყრობის გამოძიება საქართველოში: მიმოხილვითი ანგარიში“; ევროპის კავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროგრამა არასათანადო მოპყრობასა და დაუსჯელობასთან ბრძოლის ხელშეწყობა, თბილისი, 2013 წ. გვ.48, ხელმისაწვდომია <https://rm.coe.int/16800922af>

Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment on his mission to Georgia; 2015, December 1, A/HR/31/57/Add.3; Par. 62-68 <https://www.refworld.org/docid/56c436dc4.html>

<sup>[2]</sup> – საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ“, 21 ივლისი 2018 წელი

<sup>[3]</sup> – საქართველოს სახალხო დამცველის შეფასება „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის“ შესახებ კანონის პროექტთან დაკავშირებით, 2018 წლის 15 თებერვალი, ხელმისაწვდომია: <http://ombudsman.ge/geo/akhali-ambebi/saqartvelos-saxalxo-damcvelis-shefaseba-saxelmwifo-inspector-is-samsaxuris-shesaxeb-kanonis-proeqttan-dakavshirebit>

<sup>[4]</sup> – როგორც საქმიანობა 5.1.3.2-ის შესრულების შეფასებაში მოცემული სტატისტიკაც მოწმობს, არასათანადო მოპყრობის შემთხვევები კვლავ ხშირად კვალიფიცირდება სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებად.

<sup>[5]</sup> – The Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT) from 10 to 21 September 2018, Strasbourg, 10 May 2019, par.14

<sup>[6]</sup> – საქართველოს კანონი „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“, მუხლი 30.

## აქტივობა 5.1.3.2. გამოძიებასთან დაკავშირებული სტატისტიკის პროაქტიულად მიწოდება საზოგადოებისთვის

### პასუხისმგებელი უწყება:

- შინაგან საქმეთა სამინისტრო

### ინდიკატორი:

გამოძიების სრულფასოვანი, დამოუკიდებელი და ეფექტიანი მექანიზმის შექმნის მიზნით შემუშავებულია საკანონმდებლო ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო რეკომენდაციებთან

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

### შეფასება

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, „შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ყოველწლიურად ქვეყნდება რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა ცალკეული მუხლების მიხედვით. გარდა ამისა, რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა პროაქტიულად ქვეყნდება ყოველთვიურადაც.“

საქართველოს მთავარი პროკურატურიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2018 წელს, განხორციელდა მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილი არასათანადო მოპყრობის ფაქტების კვალიფიკაციის შესახებ რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი. საანგარიშო პერიოდი მოიცავდა 2017 წლის 10 თვეს და 2018 წლის 11 თვეს.

2018 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო პენიტენციური დაწესებულების 3 თანამშრომლის მიმართ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 25.144<sup>3</sup> მუხლით. იმავე პერიოდში, პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 12 პირის მიმართ, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით.

2019 წელს, პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმართა მიმართ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მარვენებელი არ დაფიქსირებულა, ხოლო პოლიციის თანამშრომლების მიერ განხორციელებული წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 4 პირის მიმართ. აქედან, საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლით 3 პირის მიმართ, ხოლო, 144<sup>3</sup> მუხლით - 1 პირის მიმართ.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო პროაქტიულად აქვეყნებს სტატისტიკურ ინფორმაციას რეგისტრირებული დანაშაულების შესახებ, სტატისტიკის წარმოების დამკვიდრებული ფორმა არ არის საკმარისად ინფორმატიული და ასახავს მხოლოდ რეგისტრირებული და გახსნილი დანაშაულების/სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული პირების რიცხოვრივ და პროცენტულ მაჩვენებლებს. მოცემული სტატისტიკის ანალიზის საფუძველზე, შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ რა ბედი ეწია სტატისტიკაში მითითებული საქმის გამოძიებას (შეწყდა, დასრულდა საპროცესო შეთანხმებით, დასრულდა და გადაეცა სასამართლოს, მიმდინარეობს და სხვა), რამდენი პირი იქნა სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემული და ა.შ.. შესაბამისად, მითითებული ფორმით სტატისტიკის გამოქვეყნება სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული საქმიანობის შესრულებას.

გარდა ამისა, სამოქმედო გეგმაში იმთავითვე არასრულად განისაზღვრა პასუხისმგებელი უწყებების ჩამონათვალი, ვინაიდან მართო შინაგან საქმეთა სამინისტრო ვერ უზრუნველყოფს არასათანადო მოპყრობის ფაქტებზე გამოძიების ყველა ეტაპზე სტატისტიკის წარმოებასა და საზოგადოებისთვის პროაქტიულად მიწოდებას. მეტი გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანი იქნებოდა შსს, პროკურატურის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის, საერთო სასამართლოების და ყველა იმ უწყების ერთიანი სტატისტიკის წარმოება, რომელშიც დეტალურად გაიწერებოდა არასათანადო მოპყრობის ფაქტების თაობაზე დაწყებული, შეწყვეტილი, მიმდინარე და დასრულებული საქმეების შესახებ სტატისტიკური მონაცემები, გადაკვალიფიცირებული საქმეები, ასევე, სასამართლოს მიერ მიღებული გამამტყუნებელი თუ გამამართლებელი განაჩენების შესახებ ინფორმაცია.

არასათანადო მოპყრობის საქმეების შემთხვევაში მნიშვნელოვანი იქნებოდა, ასევე, იმგვარი მონაცემთა ბაზის შექმნა, რომელშიც შესაძლებელი იქნებოდა, კონფიდენციალობის სათანადო დაცვით, კონკრეტული საქმის „გაყოლა“, ანუ მის თაობაზე ყველა ეტაპის ინფორმაციის მოპოვება.

ზემოაღნიშნული სახით სტატისტიკური მონაცემებით მოცული იქნებოდა გამოძიების დამოუკიდებლობის, ეფექტიანობის და გამჭვირვალობის ხარისხის შეფასებისთვის ყველა საჭირო ინფორმაცია, ასევე, ნათლად წარმოაჩენდა სახელმწიფოს ძალისხმევას წამებისა და არაადამიანური ან/და დამამცირებელი მოყრობის აღმოფხვრის თვალსაზრისით.

## **ამოცანა 5.1.4. არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთა დაცვის, კომპენსაციისა და რეაბილიტაციის ხელშეწყობა**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 0%

ინდიკატორი:

შესწავლილია იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალი;

და მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაზრდილი თანამშრომლობა;

ჩატარებული კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი;

# აქტივობა 5.1.4.1. იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალის სრულად შესწავლა და იურიდიული დახმარების არსებული კანონმდებლობის ანალიზი

## პასუხისმგებელი უწყება:

- იურიდიული დახმარების სამსახური; საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

## ინდიკატორი:

შესწავლილია იურიდიული დახმარების სამსახურის პოტენციალი;

და მსხვერპლთა რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამის ფორმირების მიზნით არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაზრდილი თანამშრომლობა;

ჩატარებული კვლევის შედეგები და წარმოდგენილი რეკომენდაციების პაკეტი;

სტატუსი: არ არის შესრულებული

აქტივობის შესრულების პროგრესი: 0%

დაწყების თარიღი: 2018-01-01

ბოლო ვადა: 2018-12-31

## შეფასება

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების 2018 წლის შუალედური აგარიშის მიხედვით, სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახური აქტიურად თანამშრომლობს ადამიანთა წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელ საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭოსთან. 2018 წელს, საკოორდინაციო საბჭომ, იურიდიული დახმარების სამსახურის აქტიური ჩართულობით, განახორციელა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლთათვის ეფექტიანი იურიდიული დახმარებისა და სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფის მარეგულირებელი მოქმედი კანონმდებლობის ანალიზი, ასევე ჩაატარა არსებული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შედარებითი კვლევა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტი იურიდიული დახმარების სამსახურის ვებგვერდზე ხელმისაწვდომი არ არის. კვლევების ჩამონათვალში მხოლოდ 2011 წელს განხორციელებული იურიდიული დახმარების სამსახურის შესაძლებლობებისა და საჭიროებების კვლევა გვხვდება.<sup>[1]</sup>

<sup>[1]</sup> <http://www.legalaid.ge/ka/p/745/studies>

## მიზანი 5.2. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფ პირთა

# ჯანმრთელობის უფლების დაცვა

მიზნის შესრულების პროგრესი: 42.5%

საანგარიშგებო პერიოდში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ჯანმრთელობის უფლების დაცვის გაუმჯობესების კუთხით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განხორციელებულა. 5.2. მიზნით გათვალისწინებული აქტივობები ნაწილობრივ შესრულდა. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში შეზღუდულია ფსიქიკური თუ სომატური სამედიცინო სერვისები და მათი მოხმარება. ჯერ კიდევ არ არის ხელმისაწვდომი პაციენტთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე რეაბილიტაციისა და გამოჯანმრთელების ინდივიდუალური მიდგომის, გეგმების შედგენისა და განხორციელების პრაქტიკა. გამოწვევად რჩება ფსიქიატრიული შემთხვევების ადეკვატური მართვა. არ დამტკიცებულა ცვლილებები ფსიქიკური დახმარების შესახებ კანონში.

## ამოცანა 5.2.1. ჯანმრთელობის დაცვის სერვისების გაუმჯობესება

ამოცანის შესრულების პროგრესი: 30%

ინდიკატორი: ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი მკურნალობის სერვისები გაუმჯობესებულია

**აქტივობა 5.2.1.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში (მ.შ. სასჯელაღსრულების სისტემის სამკურნალო დაწესებულებების ფსიქიატრიულ განყოფილებებში) მყოფი პირების უზრუნველყოფა ფსიქიკური და სომატური ჯანმრთელობის თანამედროვე სერვისებით, მათ შორის ამბულატორიული სერვისებით.**

### პასუხისმგებელი უწყება:

- შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო

### ინდიკატორი:

ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მყოფი მკურნალობის სერვისები გაუმჯობესებულია

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 30%

დაწყების თარიღი: 2019-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31



## შეფასება

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშის მიხედვით: „არანებაყოფლობით ფსიქიატრიულ სტაციონარულ მკურნალობაზე მყოფი ყველა ის პაციენტი, რომელიც წარმოადგენს საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის და სხვა სახელმწიფო პროგრამების ბენეფიციარს, უფლებამოსილია სომატური დაავადებების სამკურნალოდ ისარგებლოს აღნიშნული პროგრამებით. რეფერალური პროგრამის ფარგლებში, შესაძლებელია, განხილულ იქნას იმ მომსახურების დაფინანსების საკითხი, მიუხედავად პაციენტის მოქალაქეობისა, რომელიც არ იფარება ზემოაღნიშნული სახელმწიფო პროგრამებით ან დაზღვევით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. 2019 წელს N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულების ფსიქიატრიულ განყოფილებაში განთავსებული პაციენტები უზრუნველყოფილი არიან როგორც ფსიქიკური, ასევე, საჭიროების შემთხვევაში სომატური სამედიცინო სერვისებით.“<sup>[1]</sup>

სამდივნოს ანგარიშისგან განსხვავებით, პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიშში ფსიქიატრიულ დაწესებულებებში სამედიცინო სერვისების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის თაობაზე მთელი რიგი პრობლემებია ხაზგასმული. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ფსიქიატრიულ დაწესებულებებში არ არის დანერგილი და ხელმისაწვდომი მულტიდისციპლინური მიდგომისა და პაციენტთა საჭიროებების შესწავლის საფუძველზე რეაბილიტაციისა და გამოჯანმრთელების (ე.წ. recovery) ინდივიდუალური გეგმების შედგენისა და განხორციელების პრაქტიკა. მატერიალური თუ ადამიანური რესურსების სიმწირის გამო რეაბილიტაციისკენ მიმართული აქტივობები საერთოდ არ ხორციელდება.<sup>[2]</sup>

ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მყოფი პირები, უმეტეს შემთხვევაში, გადაუდებელი წესით გადაჰყავთ სამოქალაქო ჯანმრთელობის სერვისებით სარგელობის მიზნით. ეს შესაძლებელია დაგუკავშიროთ დაავადებების დროული გამოვლენის და გეგმური მკურნალობის არარსებობას. 2019-2020 წლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პროგრამაში არ არის გათვალისწინებული ფსიქიატრიულ სტაციონარში მოთავსებული ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირთა სომატური ჯანმრთელობის პრობლემების მონიტორინგი და მკურნალობა.<sup>[3]</sup>

პრობლემებია ფსიქიატრიული შემთხვევის ადეკვატური მართვის თვალსაზრისითაც. გაწეული მომსახურება არ არის ორიენტირებული გამოჯანმრთელებაზე/აღდგენაზე (recovery) და არ არის დაფუძნებული პიროვნული ავტონომიის პატივისცემაზე. რიგ შემთხვევებში, განხორციელებული ინტერვენცია პაციენტს მნიშვნელოვან ზიანს აყენებს.<sup>[4]</sup>

გამოვლენილია მედიკამენტების არამიზნობივი და ზედოზირებით დანიშვის შემთხვევები. სამედიცინო ბარათების შესწავლით დგინდება, რომ რამდენიმე შემთხვევაში პაციენტებს ერთდროულად ორი, სამი ან მეტი ანტიფსიქოზური მედიკამენტი ჰქონდათ დანიშნული, როდესაც კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციების შესაბამისად, პაციენტების უმეტესობისთვის ერთი ანტიფსიქოზური მედიკამენტის დანიშნაა რეკომენდებული.

პრობლემურია პაციენტის ინფორმირების და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანამონაწილეობის საკითხი. მონიტორინგის შედეგები აჩვენებს, რომ პაციენტები აღნიშნულ პროცესში სათანადოდ ჩართული არ არიან, რასაც ადასტურებს ის ფაქტი, რომ გამოკითხული პაციენტების ნაწილმა საერთოდ არ იცის დიაგნოზი და დანიშნული მედიკამენტების დასახელება, არ ფლობენ ინფორმაციას მკურნალობის ალტერნატიული მეთოდების შესახებ.<sup>[5]</sup>

წარმოდგენილი მიმოხილვის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ აღნიშნული ამოცანით გათვალისწინებული მიზანი არ არის მიღწეული. არსებული გამოწვევები ცხადყოფს, რომ შეზღუდულია ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური თუ სომატური ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობა და მოხმარება.

<sup>[1]</sup> გვ. 68-69

<sup>[2]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020 წელი, გვ. 135-136

<sup>[3]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020 წელი, გვ. 137

<sup>[4]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020 წელი, გვ. 135

<sup>[5]</sup> საქართველოს სახალხო დამცველის პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2019 წლის ანგარიში, 2020 წელი, გვ. 134

## **ამოცანა 5.2.2. იძულების ღონისძიებების გამოყენების პრინციპებისა და პროცედურების შემუშავება**

ამოცანის შესრულების პროგრესი: 50%

ინდიკატორი: შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში

### **აქტივობა 5.2.2.1. ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პაციენტისათვის ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ შესაბამისი ფსიქიკური ჯანმრთელობის საკანონმდებლო აქტების გადახედვა და განახლება**

#### **პასუხისმგებელი უწყება:**

- შრომის
- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

#### **ინდიკატორი:**

შემუშავებულია და დამტკიცებულია ცვლილებები კანონქვემდებარე აქტებში

სტატუსი: ნახევარზე ნაკლები  
შესრულებულია

აქტივობის შესრულების პროგრესი: 50%

დაწყების თარიღი: 2019-01-01

ბოლო ვადა: 2020-12-31

## შეფასება

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) მიდგომა ფსიქიკური ჯანდაცვის მიმართულებით, დაფუძნებულია უფლებების პატივისცემისა და გამოჯანმრთელების/აღდგენის მოდელზე (recovery).<sup>[1]</sup> აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ორგანიზაცია მოუწოდებს სახელმწიფოებს, ხელი შეუწყონ სტაციონარში მოთავსებული პაციენტების მიმართ ფიზიკური და ქიმიური შეზღუდვის საშუალებების გამოყენების შემცირებას და აღმოფხვრას.

2019 წლის სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ ანგარიშში აღნიშნულია, რომ კანონი „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ კონკრეტულად არ მიუთითებს დაწესებულებების ვალდებულებას, მოახდინოს კრიზისული შემთხვევების პრევენცია და დროულად შეძლოს შესაძლო შემთხვევების ამოცნობა და მართვა. არ არსებობს სამინისტროს მიერ დადგენილი ერთიანი სტანდარტი ფსიქიატრიული დაწესებულებებისთვის, რომელიც განსაზღვრავს მათ ვალდებულებას შეიმუშაონ კრიზისული შემთხვევების პრევენციისა და მართვის შიდა სახელმძღვანელო საგალდებულო დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს შემთხვევების გართულების რისკების დროულ შეფასებას და აღმოფხვრას.

არსებულ დაწესებულებებში არ ხდება ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების შესახებ ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციების შესრულება.<sup>[2]</sup> იზოლაციის შემთხვევები არ არის დოკუმენტირებული. ქიმიური შეზღუდვების შესახებ ჩანაწერებში დაფიქსირებულია ხარვეზები. გამოწვევად რჩება ფორმალურად ნებაყოფლობით მკურნალობაზე მყოფი პაციენტების მიმართ იძულებით ინექციების გაკეთების და ფიზიკური შეზღუდვების გამოყენების პრაქტიკა.

ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის 2019 წლის ანგარიშში მითითებულია: „საქართველოს პარლამენტის მიერ მომზადდა ფსიქიკური დახმარების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები. მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან შეთანხმების პროცედურები.“<sup>[3]</sup>

ზემოაღნიშნული ცვლილებები „ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში საანგარიშო პერიოდის ამოწურვის შემდეგ, 2020 წლის ივნისში შევიდა.<sup>[4]</sup> ისინი ორიენტირებულია სტაციონარში პაციენტის ძალადობის შემცველი ქცევის მიზნით მის მიმართ შესაძლო შეზღუდვების უკიდურესი ზომების გამოყენების საკითხებზე; მოიცავს მეთოდების განმარტებას და მათი გამოყენების ინსტრუქციებს, ასევე ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურების მიწოდების სერვისებს და მათი ორგანიზების ტიპებს. ცვლილებების პაკეტი ასევე უზრუნველყოფს მომსახურების ხარისხის შეფასებას, თუმცა ამ მიმართულებით წარმოადგენს მხოლოდ მონიტორინგის ჯგუფის მუშაობის პრინციპებსა და საქმიანობის მიმართულებებს. ამ ცვლილებების პრაქტიკაში იმპლემენტაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში პაციენტთა ზრუნვის გაუმჯობესებას და დადებით გამოსავლებს ადამიანის უფლებების დაცვის მხარდაჭერით პაციენტთა ზრუნვის უზრუნველსაყოფად.

---

<sup>[1]</sup> WHO Quality Rights initiative – improving quality, promoting human rights, ხელმისაწვდომია [https://www.who.int/mental\\_health/policy/quality\\_rights/en/](https://www.who.int/mental_health/policy/quality_rights/en/)

<sup>[2]</sup> საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის №92/6 ბრძანება, ფსიქიკური აშლილობის მქონე პაციენტისათვის ფიზიკური შეზღუდვის მეთოდების გამოყენების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე, მე-6

## პუნქტი

<sup>[3]</sup> ადამიანის უფლებათა დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წლიური ანგარიში, 2019 წელი, გვ. 74

<sup>[4]</sup> საქართველოს 2020 წლის 23 ივნისის კანონი N6360-III “ფსიქიატრიული დახმარების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე